

„ამონარიდი სერგეი შამბას გამოსვლიდან პარტია „ამცახარას“ მე-9 ყრილობაზე“

29 ივნისს ქ.სოხუმში ჩატარდა ოპოზიციური პარტიის „ამცახარას“ ე.წ მე-9 ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა პარტია „ედინაია აბხაზიას“ თავმჯდომარე სერგეი შამბა. მან ვრცლად ისაუბრა ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილ რთულ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და კრიმინოგენულ სიტუაციაზე.

„მოკლედ რომ აღვწეროთ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიმყოფებით სახელმწიფოებრიობის კრახის ზღვარზე და პერსპექტივაში კი ჩვენი ერის გაქრობის წინაშე“ - განმარტა მან.

სერგეი შამბას აზრით, არადიარებული რესპუბლიკა დგას ორი საფრთხის წინაშე. პირველი- აფხაზური ეთნოსის შთანთქმა უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსის მიერ და აფხაზური ენის გაქრობა. მეორე-ეთნორადიკალიზმის გაჩენა, რომელიც პირველ რიგში თვითონ აფხაზებს დააზარალებს.

„ედინაია აბხაზიას“ თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„ეთნიკური რადიკალიზმი აუცილებლად გამოიწვევს აფხაზებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტს. პირველ რიგში, სომხებთან, რუსებთან და მეგრელებთან“.**

სერგეი შამბა ოკუპირებული აფხაზეთის პოლიტიკურ სისტემასაც შეეხო და თქვა, რომ მისი აზრით ოკუპირებულ აფხაზეთში ვერ იმუშავებს პოლიტიკური სისტემა, რომლითაც მოგებული იღებს ყველაფერს.

სიტყვით გამოსვლის დასარულს, მან განაცხადა, „სამწუხაროდ, იძულებული ვარ მოვახდინო იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებში და ოპოზიციაში ამ ბოლო დროს ჩნდება ხალხი, რომლებიც, პოლიტიკური სისტემის რეფორმების სახელით, აპირებენ ერთი პირის ხელში მთელი ძალაუფლების კონცენტრირებას.“

29.06.2017 АБХАЗИЯ-ИНФОРМ <http://abkhazinform.com/item/6098-sergej-shamba-my-stoim-u-cherty-za-kotoroj-nas-ozhidaet-krakh-nashej-gosudarstvennosti>

„ამცახარამ“ ყრილობის შედეგად რეზოლუცია მიიღო“

29 ივნისს ჩატარებული ე.წ. მე-9 ყრილობის ჩატარების შემდეგ, ე.წ. ოპოზიციურმა პარტიამ „ამცახარა“ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც მრავალ მოთხოვნასთან ერთად ვკითხულობთ;

„გალის მოსახლეობის, რომელიც ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თანამოაზრეებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალებისათვის საბაზად გამოიყენა, პასპორტიზაციისათვის ხელისუფლებამ „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მმოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი მიიღო, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხის შემცველია.

ამიტომ, პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ მე-9 ყრილობამ მოისმინა რა, პარტიის თავმჯდომარის, ალხას კვიცინიას, განცხადება, დაადგინა:

-ქვეყნის ხელისუფლება დაუბრუნდეს აფხაზეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონების მოსახლეობის ე.წ. პასპორტების საკითხის განხილვას აფხაზეთის რესპუბლიკის

კონსტიტუციის შესაბამისად და გადაიხედოს „უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი“

ე.წ. ოპოზიციური პარტიის რეზოლუციის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ, „10 დღის განმავლობაში რეზოლუციის პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია იტოვებს უფლებას ცალმხრივად გავიდეს შეთანხმებიდან (საუბარია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებაზე, რომელიც 2016 წლის 19 დეკემბერს იქნა ხელმოწერილი)

29.06.2017 AMIAXAPA ავრცლადხელმისაწვდომიარუსულენაზე <http://www.amtsakhara.org/ru/events/publication/841/>

„რუსეთის ავიაკომპანიები აფხაზეთის მიმართულებით ბილეთების გაყიდვას იწყებენ“

სააქციო საზოგადოება „რჟდ“-ს მსგავსად, რუსეთის ფედერაციის ავიაოპერატორებიც ე.წ. „ერთი ბილეთის“ გაყიდვებს იწყებენ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით. ავიაგადამზიდავ კომპანიაში ან გაყიდვების სააგენტოში ბილეთის შეძენისას შესაძლებელი ხდება სამგზავრო ბარათის ყიდვა. ასეთი გაყიდვები გაგრძელდება 2017 წლის 30 სექტემბრამდე. ამის შესახებ ინფორმაციას თავის ვებგვერდზე **TripSmile.ru** ავრცელებს.

აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მიმავალ ტურისტს, თვითმფრინავის ბილეთის შეძენისას, შეუძლია დამატებით იყიდოს ავტობუსის ბილეთი, რომლითაც შეუძლია ჩავიდეს ქ.სოჭის აეროპორტიდან გუდაუთამდე, ახალ ათონამდე, გაგრამდე, ბიჭვინთამდე და სოხუმამდე.

ვებგვერდზე განმარტავენ, რომ აღნიშნული მიმართულებით ავტობუსების გამგზავრების დრო ემთხვევა თვითმფრინავების ჩამოფრენას და მგზავრებს არაღიარებულ რესპუბლიკაში მოსახვედრად ლოდინი არ დაჭირდებათ.

30.06.2017 АПСНЫПРЕСС <http://www.apsnypress.info/news/edinye-bilety-v-abkhaziyu-prodayut-rossiyskie-aviakompanii/>

30.06.2017